ხუთშაბათი, 13 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 275

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში ...მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის ხელის მოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან შუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ფასი 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

11 ქრისტეშობისთვეს, ღამის 1 საათზე, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლკოვნიკი

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე არღაზიანი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა დედა განსვენებულისა ნინო პეტრეს ასული, ძმები: გიორგი და ზაქარია, და დები: ნატალია მელიქისა, ანნა და სოფიო. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე, დილის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადრესი: 1 საპიორნის ტუპიკი, საკუთარი სახლი № 4. (2—497—1)

პარასკევს, დეკემბრის 21-ს,

**ტფილისის სობრანიეს დარბაზში**

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

გაიმართება წარმოდგენა

I **გ ა ყ რ ა** გ. ერისთავისა. წარმო. იქნება პირველი მოქმ.

II **მე მინდა კნეინა გავხდე** კომ. ზ. ანტონოვისა, პირველი მოქმედება.

III **ბიძიასთან გამოხუმრება** კომ. ვოდევილი რ. ერისთავისა.

IV **რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.** კომ. ავ. ცაგარლისი, წარმ. იქნება მეორე მოქ.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი მ. საფაროვ-აბაშიძისა და დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტები, ბ-ნ ვ. აბაშიძის რეჟისორობით.

**წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული**

**ც ე კ ვ ა**

დარბაზში დაუკრავს საზანდარი და სამხედრო მუსიკის ორკესტრი.

**ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში.** (5—3)



## ძმ. ნიკიტინებ.ს ცირკი.

13 დეკემბერს, 1907 წელს, **გალა** სამ განყოფილებად. მონაწილეობას იღებენ ცნობილი აკრობატები, ცხენოსნები, გიმნასტები, აკრობატები, ჟონგლიორები, ორიგინალური კლოუნები და კომიკები. სხვათა შორის დებიუტი ცნობილ ესპანელ ლამაზ ქალის კარდინალისა. **ჯგუფები** და პირამიდები. დასასრულ „სერპანტინი" ელექტრონის აფეიერვებით. მონაწ. იღებენ კორდებალეტი, 12 თეთრი კაკი მთელი დასი. დასაწყისი 8½ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. დირექტორი **აკიმ ნიკიტინი**. (1—499—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს, პირველი წარმოდგენა ახალ ოპერისა. წარმოდგენილი იქნება

**„ა ს ე ს თ ქ ვ ა მ ე ფ ე მ".**

კომიკ. ოპერა 3 მოქმ. მუსიკა დელიბასი,

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ვოდოპიანოვა, გორინა, ოკუნევა, პახომოვა, პობოჟიევა, ...ენკო; ბ-ნნი აკიმოვი, გავრილოვი, გრინევი, პლატონოვი საიანოვი, და სხვ.

**მინუეტს** დასდგამს ბალეტმეისტერი რომანოვსკი.

კაპელმეისტერი: **ფალიაშვილი.** ფასები საბენეფისო, დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** საზოგადოების სურვილით ოლ. ბორონატი ორ გასტროლზე კიდევ დარჩა. 15 დეკემბერს ბენეფისი სიბირიაკოვისა—„დემონი". (0—20)

**გამოვიდა და იყიდება**

დამდეგი **1908** წლის

# დროების კალენდარი

**ფასი 35 კაპ.**

**იყიდება შემდეგ ადგილებში:**

**ტფილისში:** „ქართ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებაში" და „ცოდნის" წიგნის მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან („იმერეთის" ამხანაგობაში) **ფოთში:** **სამტრედიაში:** ძმ. კოხრეიძეებთან.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 50 ცალისა, იმას დაეთმობა 20⁰/₀ დაკლებით.

პარტიობით დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, სტამბა «იდეალი», **ხელფანე მინქაბულიანთან.**

# იაროსლავის მაღაზია

გოლოვინის პროსპ., სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკის" სასტუმროს პირდაპირ, სახლი სტეფანოვისა.

**მხოლოდ ათის დღით**

**13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 21, 22** და **24** დეკემბრისთვის.

დღესასწაულის წინ, დანიშნულია

# დიდი იაფობა დარჩენილ საქონლისა

მოვიდა მთავარ საწყობიდან შალის საქონელი, ბამბაზია, ფერადი სატინი, სარფინკა, ფულიარ აქსფორტი, ტილო, თბილი საბნები, ჩულქები, სუფრა-სალფეტკი, საფარდე ტიული. (1—495—1)

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეტი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—5)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—9)

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—6.—33)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

**მედიცინის დოქტორი**

**მ. ი. მურადოვი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—22)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—246)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—40)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

**ს. ი. კერესელიძე**

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში. (25—ფ.—12)

**ქ ო ბ უ ლ ე თ შ ი**

ექიმი

**ნ გ მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—26)

ექიმი

**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების.** სპეციალური ექიმია **გულის და ნაწლევების.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭანიძისა (25—წლ.

ექიმი

**ე. ბაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**კბილის ექიმი**

**ბალარჯიშვილი მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—24)

# ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის" რედაქციაში.

## პირველ-დაწყებითი სწავლა

ქართველ საზოგადოების ყურადღება იქითკენ არის მიქცეული, რომ ხალხში წერა-კითხვა გაავრცელოს და პირველ-დაწყებითი სწავლა რაციონალურ ნიადაგზე დააყენოს. არასოდეს არა ყოფილა ჩვენში გაღვიძებული ისე ძალიან სურვილი კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობისა, როგორც დღეს. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ადგენს განყოფილებათა წესდებას, რომ ამით მეტი სიცოცხლის ნიშნები შეჰმატოს საზოგადოებას და მოქმედებაში ადგილობრივი, აქამდის უმოქმედო ძალებიც ჩაითრიოს. რასაკვირველია, სრულიად მეტია იმისი მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის გავრცელებას ერის წინმსვლელობასა და კულტურულ აღორძინებაში. სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში ისეთი საქმეა, რომელიც ადვილად შეაერთებს ყველას, განურჩევლად პოლიტიკურ რწმენისა და მიმართულებისა. ეს ასე უნდა იყოს, და დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება. სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში საჭიროა, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ქართველ საზოგადოებას უმნიშვნელო საშუალება აქვს ამ აზრის განსახორციელებლად. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სავარაუდო შემოსავალი 18 ათას მანათს უდრის. აქედანაც წერა-კითხვის გავრცელებაზე მხოლოდ მცირედი ნაწილი იხარჯება. ამის გარდა ჩვენ სხვა არც ერთი ისეთი დაწესებულება არ გვეგულება, რომელიც ხალხში წერა-კითხვის გავრცელებაზე ზრუნავდეს. ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების თავად-აზნაურობა აუარებელ ფულსა ხარჯავს უმაღლეს სასწავლებლების სტიპენდიებზე, ტფილისის თავად-აზნაურობა ინახავს მთელს გიმნაზიას, კერძო შემომწირველნიც უმეტეს ნაწილად მხოლოდ სტიპენდიებისთვის იმეტებენ ფულს, ხალხის პირველ-დაწყებით სწავლა-განათლებასა და წერა-კითხვის გავრცელებაზე კი არავინა ზრუნავს. უმთავრესი ყურადღება კი, ჩვენის აზრით, სწორედ ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას უნდა მიექცეს. აქედან, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია ისეთი დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ქართველმა საზოგადოებამ საშუალო და უმაღლეს სასწავლებელს სრულიად თავი უნდა დაანებოს და მთელი თავისი ქონება პირველ-დაწყებითი სწავლას მოახმაროს. ყოვლად შეუძლებელია, მაგალითად, დაკეტვა ტფილისის ქართულ გიმნაზიისა, ამ ერთად-ერთ საშუალო სასწავლებლისა, სადაც სწავლა ქართულს ენაზე სწარმოებს. თუმცა არიან ისეთი პირები, რომელნიც ალმაცერად უცქერიან გიმნაზიას და საზოგადოების ერთ წრეში იმის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან, მაგრამ შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ ჯეროვანი პასუხი უნდა გასცეს ამისთანა პირებს. შეუძლებელია სრული გაუქმება სტიპენდიებისაც, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბევრი ისეთი ახალგაზდა ათავებს საშუალო სასწავლებელს, რომელსაც სწავლის გასავრცელებლად სრულიად არავითარი სახსარი არა აქვს, და მეორეც იმიტომ, რომ თავად-აზნაურობა, რომელიც ყველაზე მეტს ფულსა ჰხარჯავს სტიპენდიებზე, არ დასთანხმდება ამას. მას სურს, რომ უმაღლეს სასწავლებელში კურს-დამთავრებული შვილები ჰყავდეს. შემცირება სტიპენდიებისა კი შესაძლებელია.

არსებობს კიდევ ერთი საშუალება საჭირო არის გამოძებნისა, რომელსაც პირველად ბ-ნმა ლ. ცაგარელმა მიაქცია ყურადღება. ეს საშუალება ამნაირია. აქამდის ყველა სტიპენდიატს ფული საჩუქრად ეძლეოდა. სტუდენტები სარგებლობდნენ სტიპენდიებით და დახარჯულ ფულის გადახდა ვალად არ ედებოდათ. ფულის ამნაირმა გაბოძებამ ისეთი პირობები შექმნა, რომ სტუდენტები ძალიან ხშირად იმაზე დიდხანს სარგებლობდნენ სტიპენდიით, ვიდრე ამას საქმე და საჭიროება მოითხოვდა. მაგრამ ამას კიდევ როგორმე გაუძლებდა ადამიანი, თითოეულ ამ კურს-დამთავრებულისაგან რაიმე საზოგადოებრივი ღირებულება რომ შექმნილიყო. ქართველი საზოგადოება ამასაც მოკლებულია. ყოფილი სტიპენდიატები პირად კმაყოფილებას ანდომებენ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს და საზოგადოებრივ საქმეებისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენენ. ამისთანა პირობებში დიახაც რომ სრული უფლება ჰქონდა ბ-ნ ლ. ცაგარელს ეთქვა, მოგვაოხრეთ თქვენზე დახარჯული ფული, თუ თქვენ თვითონ საზოგადოებრივ საქმეებისათვის არ ვარგიხართო. თუ სტიპენდიების დამნიშვნელთა მიზანს მხოლოდ კარგ მეოჯახეების აღზრდა შეადგენს, როგორც ერთმა თავადიშვილმა მითხრა კერძო ლაპარაკის დროს, მაშინ საზოგადოებრივ საქმეებზე ყაყანსაც თავი გაანებეთ, იმის კვლევა-ძიებასაც, თუ ვის უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის,—სპეციალისტს თუ არა სპეციალისტს. მაგრამ თუ თქვენ მიზანს მართლა ის შეადგენს, რომ საზოგადო საქმეებს მეტი მოღვაწეები შეჰმატოთ, მაშინ აუცილებლად თქვენს სტიპენდიებსაც ამნაირის საზომით უნდა შეჰხედოთ. და რადგან სტიპენდიატები უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების იმედებს არ ამართლებენ და საზოგადოებრივ ცხოვრებას არ უბრუნდებიან, იმ დაწესებულებებმა ან კერძო პირებმა, თავიანთი სტიპენდიატები აუცილებლად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მოვალეებად უნდა გახადონ. რამდენადაც მე ვიცი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა თავის ახალ სტიპენდიატებს პირობის ქაღალდებსართმევს. ეს პირობის ქაღალდები აუცილებლად „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" უნდა გადაეცეს. ამავე საზოგადოებას უნდა გადასცენ პირობის ქაღალდები სხვა დაწესებულებებმაც და კერძო პირებმაც თუ, რასაკვირველია, ასეთი ქაღალდები აქვთ. ეს საშუალება ძალიან პრაქტიკული საშუალებაა. მივმართავთ ყველა ქართულ დაწესებულებას, რომელთაც საჭიროდ მიაჩნიათ სწავლა-განათლების გავრცელება ხალხში, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მოვალედ გახადონ თავიანთი სტიპენდიატები.

**შინაური.**

P. S. ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც წავიკითხე ბ-ნ „სპერანზა"-ს წერილი „ტფ. ლისტ.", სადაც იგი ეჭვს აცხადებს, ამისთანა საშუალებით ვერავითარ სახსარს ვერ გამოუძებნით „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაო". ბ-ნ „სპერანზა"-ს მაგალითად „ზემლიაჩესტვოს" საამხანაგო კასები მოჰყავს, ამბობს, რომ კურს-დამთავრებული ახალგაზდები ვალს არ იხდიანო და თან დასძენს, როდესაც საზოგადოებრივ საქმეების დმი ინტერესი გაიღვიძებს, საქმეც მაშინ გაიჩარხებაო. საზოგადოებრივ საქმეებისადმი ინტერესის გაღვიძებას, რასაკვირველია, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამიტომ სხვა საშუალებანიც არ უნდა უარვყოთ; ყოფილ სტიპენდიატს ადვილად შეუძლიან გადაახდევინოს მაზე დახარჯული ფული. სასამართლოს შემწეობით ფულის გადახდა არც ისე ძნელია, როგორც „სპერანზა"-სა ჰგონია, თუ იურიდიული საბუთები არსებობს. თუ ბ-ნ ცაგარელის წინადადება განხორციელდა, მაშინ სტიპენდიები ვალად გადაიქცევა, ვალის გადახდევინება კი ძალიან ადვილია. სტუდენტების საამხანაგო კასებზე ტყუილად

გვირჩევენებს ბ-ნი „სპერანსკი", რადგან კასებსა და სტუდენტებს შორის იურიდიული ვალდებულება არ არსებობდა, ზნეობრივი ვალდებულება კი, სამწუხაროდ, საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბ-ნ ცაგარლის წინადადება ძალიან პრაქტიკული საშუალებაა, ამნაირად არის მოწყობილი მოსწავლეების დახმარების საქმე, მაგალითად, ნორვეგიაში, სადაც ამისათვის განსაკუთრებული ბანკებიც კი არსებობს.

**შინაური.**

## ქართლის ვითარება

რეაქციის ბატონობა.—არჩეული მამასახლისი.—მოუსავლობა.—კანცელარია პურის მაგიერ.—საქონლის საკვების გაძვირება და იმისი შედეგი.—მემამულენი.—მამულების გაყიდვა.—ჩაჩნების ოინები.—აზრი გიმნაზიის დაარსების შესახებ ცხინვალსა და სურამში.—ხილის მოსავალი.

არა ერთხელ იყო ჩვენს გაზეთში აღნიშნული ის გაჭირვება, რომელსაც დღეს ქართლი განიცდის. თითქოს სიკვდილი იყოს გამეფებული, ისე სდუმს ქართლი. რეაქციამ ისე მაგრა მოიკიდა ფეხი, ისე განამტკიცა ბატონობა, რომ კორესპონდენტებსაც კი ულტიმატუმი დაუდო, ან აიკერეთ პირი და იცხოვრეთ მაზრაში ჩუმად, ხმა-ამოუღებლად ან და თუ დასწერთ რასმეს, ციხეებში ამოგალპობთო. თუ აქამდის კიდევ რამდენიმე ინტელიგენტი მაინც ცხოვრობდა სოფლად, დღეს ესენიც რეაქციის წყალობით იძულებულნი არიან ქალაქებში გადაბარგდნენ.

რეაქციის გამეფებისათვის საჭირო იყო არჩეულ მამასახლისის მაგიერ დაენიშნათ მთავრობის მოხელე. საუკუნოებით განმტკიცებული ჩვეულება მამასახლისის არჩევისა პირდაპირის არჩევნებით მოისპო და იმის ნაცვლად დაწესდა დანიშვნა უმეტეს შემთხვევაში უცხო ტომის კაცისა. ნიშნავენ ოსს ან რუსს, ხელობით სტრაჟნიკს. ამასთან ექვსი ან ხუთი სტრაჟნიკი მუდმივად დაუძღვის მამასახლის. ეს რაზმი და დანიშნული მამასახლისი კარგ იარაღს წარმოადგენს ხალხის მოძრაობის აღმოსაფხვრელად, ერთის მხრივ, და რეაქციის სურვილების ასასრულებლად, მეორეს მხრივ. ცემა-ტყეპა ხალხისა, გაძევრა, მექრთამეობა—აი, ამ მამასახლისების მოქმედების დამახასიათებელი თვისებანი. არას დროს მექრთამეობა არა ყოფილა სოფლად ისე გავრცელებული, როგორც დღეს. საკვირველიც არ არის. ხალხი მუდამ შიშს განიცდის, მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, რადგან იცის, რომ ერთი პატარა მიზეზი და იგი რუსეთის ცივ-ჩრდილოეთის გუბერნიაში ამოჰყოფს თავს. ასეთ მდგომარეობაში მყოფისათვის ქრთამი-ღა დარჩენილა, ამით თუ უზრუნველ ჰყოფს იგი თავის თავს. ამნაირად, ხალხი ირყვნება და ზნეობრივადაც ცარიელდება.

კენჭის აყრის დროს ცხინვალში ვიყავი და კარგად ვიცი, რა გასავალი ჰქონდათ ამ მამასახლისებს. ამათ მსუნაგობას მხოლოდ ეხლა გაეცნობოდა კაცი. კენჭ-შეხვედრილ ყმაწვილ-კაცთა დედ-მამას ხელზე იხვეწდნენ და ანუგეშებდნენ—თქვენს შვილს გავანთავისუფლებთო, ნამდვილად კი ფულის გულისწყრომა ჰქონდათ და არა ვისიმე თავისუფლება.

შესაბრალისნი არიან სოფლის ნაცვლები ამათ ხელში. ერთის წუთით დაგვიანება მამასახლისის სურვილის და ბრძანების შესრულებისა საკმაოა, რომ ნაცვლები გაამათრახონ. საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ლამის ყველა ნაცვალმა მიანებოს თავი სამსახურს. ყრილობაზე გამიგონია: „ხალხნო, რა დაგიშავეთ ისეთი, რომ მამასახლისის საცემ ნაცვლად ამომირჩიეთო; ეხლა ჩემს მაგიერ სხვა აირჩიეთო". ისიც მოსალოდნელია, რომ მალე ნაცვლის არჩევაც მოსპონ და იმის მაგიერ სტრაჟნიკი დანიშნონ. რაკი ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ ამ ახალმოდის „დეცენტრალიზაციის" საჭიროებაში, უთუოდ ეცდება განავითაროს იგი იქამდის, რომ თითოეულ სოფელს ისეთივე თვითმპყრობელი დაუნიშნოს, როგორიც სოფლის საზოგადოებასა ჰყავს მამასახლისის სახით. ამნაირად, სოფლის დღევანდელი ბატონები მამასახლისები და სტრაჟნიკები არიან და სოფელიც მაგრა-და ჰყავთ შეკაკვული.

წელს ქართლში მიწის მოსავალი წინა წლებთან შედარებით ძალიან ნაკლები იყო. პურის ყიდვას ეხლავე შეუდგნენ. დაბების სასწვრებსა და მოედნებზე დიდძალი ხალხი გროვდება ტომრებით და ფუთობით ინაწილებენ შემოტანილ ხორბალს. ჩარჩები ბევრს სარგებლობენ, მაგრამ ბევრგან ამათ მსუნაგობას საზღვარი დაუდვეს. ცხინვალში, მაგალითად, ახალგაზდობის მეოხებით ხალხმა დაადგინა, აეკრძალოთ ჩარჩებს ხორბლის გარედ გატანა; დაწესებულ ნიხრით გაყიდონ ხორბალი. ამასთან აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს იმის გამოკვლევა, თუ რამდენი ფუთი ხორბალი იპოვება ჩარჩების ხელში. კომისიამ პირნათლად შეასრულა დავალება. აღმოჩნდა რომ ცხინვალში 20,000 ფუთამდეა ხორბალი. ეს, რასაკვირველია, არა კმარა მთელის წლისათვის, მით უმეტეს, რომ ცხინვალიდან მიაქვთ პური მახლობელ სოფლებში და მთის ოსებშიც.

აღმოჩნდა, რომ ცხინვალის ღარიბ მუშა ხალხს არც პური აქვს და არც ფული. საზოგადოებამ დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა სესხის მოცემის შესახებ სამეურნეო თანხიდან. შუამდგომლობა უკვე აღძრეს და უარიც მიიღეს, თუმცა აძლევენ ფულს სესხად, მაგრამ გამოსაკვებად კი არა, არამედ კანცელარიის შენობის ასაშენებლად. სასტიკი დაცინვაა არა, მკითხველო, ხალხს პური შიან და კანცელარიას გიშენებენ გამოსაკვების ფულით!

მოუსავლობა ქართლში სიყოველთაო მოვლენაა ამასთან დაკავშირებულია საქონლის საკვების მოუსავლობაც. გვალვები იყო და წელს არც თივა მოვიდა, არც ბზე, არც ჩალა. საქონლის საკვების უქონლობა დიდ გაჭირვებაში აყენებს გლეხს. ყველა სჩივის: „ჩვენ თუ გამოგველევა სარჩო, ქალაქში მაინც წავალთ, საქონელს რა ვუყოთ, რომ ასეთი მოუსავლობა იყო წრეულს. თუ გავყიდით, რა გვეშველება გაზაფხულზე ან გუთანში ან ფარცხშიო." დიალაც, ძნელი საქმეა! ბზე ძალიან ძვირია, თითქმის ხორბლის ფასად იყიდება. ვისაც შარშანდელი ბზე შერჩა, იმას კიდევ არა უშავსრა. სასყიდელსაც ვერ შოულობენ. თივა და ჩალა სულ არ არის, საქონლის საკვები წინა წლებთან შედარებით ერთი ორად ძვირია. მაგ., ცხინვალში ურემი ბზე („დათას ურემი") 17—18 მანეთად ფასობს, წინად-კი რვა მანეთზე ზევით არ ადიოდა. თივას ფასი ემატება იმიტომაც, რომ ყაზახები ბევრგან არიან დაბანაკებულნი და იმათ ცხენებს ბევრი თივა უნდა. საკვების სიძვირემ აიძულა გლეხები, გაჰყიდონ საქონელი. საქონელი ნახევარ ფასად იყიდება. აკი ამიტომაც შემოდგომით ხორცი ცხინვალში გირვანქა 6—7 კაპ. იყო. გლეხი იძულებულია გაჰყიდოს საქონელი და შესამჩნევ ტალს დაასვამს მომავალ წლის მოსავალსაც. რაკი ნაკლები იყო მოსავალი, დითესით ნაკლები დათესეს. მომავალში საქონელსაც არ ეყოლებათ, რომ დახნან მინდვრები.

კარგ როლს არ თამაშობენ ამ მოუსავლობის დროს ჩვენი მემამულენი. რეაქციის გაძლიერებამ და გამარჯვებამ მემამულენი ძალიან გაახარა. თითქმის ორი წელიწადი გლეხებს ღალა არ მიეცათ და მემამულენი სწუხდნენ. ბევრი მოძრაობის დროს შეშინდა და სოფლიდან ქალაქს წავიდა. დღეს ზოგიერთი მემამულე შურსაც იძიებს. დარჩენილს ღალას, ტყის ფულს, კულუხს და სამოსახლოს ქირას სუფთად ახდევინებენ. მამასახლისებს ადმინისტრაციისაგან სასტიკად აქვთ ნაბრძანები, რომ თუ რომელიმე გლეხი მემამულეს ხვედრ ფულს არ ჩააბარებს, დაარბიე, გაუყიდე ყველაფერი და ისე ჩააბარეო. ყოველივე ეს მაშინ ხდება, როდესაც ქართლს შიმშილი თავს დასტრიალებს! ძველი დამოკიდებულება მემამულეებსა და გლეხებს შორის კვლავ განახლდა. მემამულენი ადგენენ სიებს, ხოლო მამასახლისებს სისრულეში მოჰყავთ ეს სიები. ის მემამულენი, რომელნიც რევოლიუციის დროს წერილებსა ჰგზავნიდნენ რედაქციებში იმის აღსანიშნავად, რომ ისინი მოურიგდნენ გლეხებს ნახევრისა და მესამედის მაგიერ მეათედებზე, დღეს ისევ ძველებურად ახდევინებენ მესამედებს, სამოსახლოს ქირას და სხვას.

მამულების გაყიდვასაც დიდი ადგილი უჭირავს. მამულებს ჰყიდიან ბანკებზე და უცხო პირებზედ. მაგ. ნ. გარსევანიშვილმა შუა ქართლში გაჰყიდა მამული ოსებზე. ოსები ჩაასახლა ქართველ უპიროდაც შევიწროვებულ სოფლებში. ამბობენ, გარსევანიშვილის სახლის კაცებიც ოსებზე ჰყიდიან მამულსაო. ქართველი გლეხი სილატაკით ისეთ ფასს ვერ მისცემს, როგორსაც ოსი იძლევა. მოძრაობის დროს ბევრი ოსი გამდიდრდა. როდესაც ბარად ხალხი სარევოლიუციოდ ირაზმებოდა, მთაში შეესივნენ ტყეებს და დიდძალი ხე გაზიდეს ტივებად გასასყიდად. ამით ბევრი გამდიდრდა და ამიტომაც არის, რომ თავადებს ახარბებენ ფულს და მიწებს ყიდულობენ.

რაკი მემამულეებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ორიოდე სიტყვას გიორგი ამილახვრის შესახებაც ვიტყვით. ამას წინად ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ გიორგი ამილახვარის სახლს ორმოცამდე შეიარაღებული კაცი დაეცა და სროლა ასტეხაო. ეს გიორგის ჩაჩნების მიერ მოგონილა ჭორია. არავითარი თავდასხმა არა ყოფილა და არც იქნებოდა. ხალხი ისეა შეშინებული, რომ ასეთ ნაბიჯს ეხლა ვერავინ გადასდგამდა. თითონ ჩაჩნები (თორმეტამდე კაცი) ჰგრძნობდნენ ალბად, რომ თუ ჩუმემ გასტანა ბატონი მალე დაითხოვეს მათ და თითონ, გიორგის იმერეთში ყოფნის დროს ასტეხეს სროლა. [illegible] პოლიციაც ფეხზე დადგა, მაგრამ როცა ჩაჩნების მეტი არავინ ყოფილა, ვის აღმოჩენდა! ეკზეკუცია უნდა ჩაეყენებინათ ოთარაშენში, მაგრამ ამილახვარმა დეპეშით ითხოვა თურმე, მის მოსვლამდის გაჩერებულიყვნენ.

ქართლში საზოგადოდ აქამდისაც სკოლები ნაკლებად იყო. ეხლა ბევრი დაკეტილია. ზოგში განახლდა სწავლა. ახალი სასწავლებელი არსად გაღებულა. ცხინვალში აზრად აქვთ პროგიმნაზიის გახსნა. კრება ჰქონდათ და კომისიაც აირჩიეს და დაავალეს გამოიკვლიონ ეს დაჯდება. სურამშიც იყო ლაპარაკი. გამოითქვა აზრი გიმნაზიის გახსნის შესახებ. ზოგიერთების აზრით, გიმნაზიასთან უნდა იყოს სამეურნეო განყოფილება, საკვირველია, რომ ყველგან გიმნაზიის ტიპის სასწავლებლების გახსნა სურთ. სამწუხაროდ ქართლში არც ერთი სასწავლებელი არ მოიპოვება სამეურნეო განყოფილებით. იყო ცხინვალსა და ტირიფონში და დღეს არც ერთგან არ არის. არავის უნდა წარმოიდგინოს, რა დიდი მნიშვნელობა ექნება სამეურნეო სასწავლებელს მთელ ქართლისთვის!

წელს ქართლში ძალიან ბევრი მოვიდა ხილი. პატარა ლიახვისა და დიდ ლიახვის ხეობები ხილით მდიდარნი არიან. ხილი ბევრი მოვიდა, მაგრამ ფასი არა აქვს. ძალიან იაფად ყიდულობენ ჩარჩები. გლეხი უსახსრობისა გამო თავის ხილით თითონ ვერ სარგებლობენ. ამბობენ, თითქმის 300,000 ფუთი ხილი გავიდა რუსეთშიო. მომეტებულად ოდესაში, ლოძში, ვარშავაში, მოსკოვსა და კიევში მიაქვთ აქაური ხილი. ლოძში ხილი თურმე კარგ ფასად იყიდება.

საშინლის გატაცებით მისდევენ ხილის გაშენებას. აქამდინ თუ ხილის ცენტრად ტყვიავი, ტირძნისი, კარბი, მერეთი, კარალეთი და სხვები ითვლებოდნენ, დღეს მთელ შუაგულს ქართლს მოეცო. მალე ეს ნაწილი ქართლისა ერთ დიდ ხილის ბაღად გადაიქცევა. რგავენ როგორც ჩვენებურ, ქართულ ჯიშის ხილს, ისე საუკეთესო საზღვარგარეთულ და რუსეთის ყირიმის ჯიშის ხილს. საბაღოსნო სკოლის მაგიერობას აქამდის ასრულებდნენ ისაია ფურცელაძის და ნ. კი-

# ფელეტონი

## ორიოდე სიტყვა ფილოსოფიურ მატერიალიზმის შესახებ

(შემდეგი*)

### II

თანამედროვე მატერიალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ დროთა მიმდინარეობაში ძალიან ბევრი ცვლილებანი განიცადა, ძველი მატერიალიზმის პირმშოშვილად უნდა ჩაითვალოს. მართალია შემდეგში ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ უკუაგდეს, ბევრიც ჩაუმატეს, მაგრამ უმთავრესი დებულებანი ძველი მატერიალიზმისა შეურყეველი დარჩა და თანამედროვე მატერიალისტურ მსოფლმხედველობას საფუძვლად დაედო. მეცნიერების განვითარებაში ძველ მატერიალიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს, რასაკვირველია, ნებას არ გვაძლევს სხვა მიმართულებათა უდიდესი მნიშვნელობაც არ აღვიაროთ. პლატონის იდეალისტური და არისტოტელის სისტემებს არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ თანამედროვე მეცნიერების განვითარებისთვის, ვიდრე დემოკრიტისა და ეპიკურის მატერიალისტურ ფილოსოფიას. თუ მეცნიერების ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ მის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ისეთს ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს, რომლებიც არამც თუ მატერიალისტურ სკოლას არ ეკუთვნიან, არამედ მის წინააღმდეგაც კი ილაშქრებენ. მაგალითად, ერთ უმთავრეს დედებითი მეცნიერების—მათემატიკის—განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის პლატონს, რომელიც მისტიციზმის მამათმთავრად უნდა ჩაითვალოს. მთელი წყება შემდეგის მეცნიერებისა ძალიან მტრულად უყურებდნენ მატერიალიზმს. გიპპარხს, მაგალითად, ადამიანის სულის ღვთაებრივი წარმოშობა სწამდა; ერატოსთენი, პლინი, პტოლომეი, ცნობილი მათემატიკოსი პითაგორი,—ყველა ესენი უფრო მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებად უნდა ჩაითვალნენ, ვიდრე მომხრეებად. ამიტომ ძალიან შევცდებით, თუ ბ-ნ შვარცს დავუჯერებთ და ვიტყვით, თანამედროვე დადებითი მეცნიერება მატერიალისტურ ნიადაგზე განვითარდა, მამათ-მთავარნი თანამედროვე მეცნიერებისა მატერიალისტები იყვნენო.

მატერიალიზმის მამათ-მთავარმა, დემოკრიტმა, თავისი სისტემა შექმნა იმ დროს, როდესაც ეგრეთ წოდებულმა „საბერძნეთის განათლებამ" ხანამ ბუნებისმეტყველების განვითარება სრულიად შეაჩერა. მეცნიერების პოპულიარიზატორებმა, განსაკუთრებით სოფისტებმა, მეცნიერება პრაქტიკულ მოთხოვნილებებსა და ცხოვრებას დაუქვემდებარეს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ერთს ადგილზე გაყინვა მოელოდა, მაგრამ ადამიანის შემოქმედებითმა ნიჭმა სხვა ადგილას იფეთქა: მეცნიერებაში ფსიხოლოგიურმა ინტერესმა გაიღვიძა, ფიზიკურ მოვლენებთან ერთად ფსიხოლოგიურ მოვლენების ახსნასაც შეუდგნენ. თავდაპირველად ეს ახალი მიმდინარეობა თავის დამოუკიდებლის გზით წავიდა, მაგრამ მალე დაიბადა ტენდენცია მათის შეერთებისა და შედუღებისა, და აი, პელოპონესის ომებისა და ფილიპე მაკედონელის მეფობის შუა ხანებში, როდესაც საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრების გახრწნა თითქმის უკვე დამთავრებული იყო, მეცნიერება განვითარების უმაღლეს წერტილამდე მივიდა და ბოლოს ეს განვითარება სამი შესანიშნავ სისტემის შექმნით დაგვირგვინდა. ეს სისტემებია დემოკრიტისა, პლატონისა და არისტოტელისა. დემოკრიტმა მატერიალისტური აზრები ჩამოაყალიბა სისტემად, პლატონმა კი იდეალისტური; არისტოტელის გრანდიოზული სისტემა კი უნდა ჩაითვალოს გენიოსურ სინტეზად ზემოდ დასახელებულ ორ ერთიერთმანეთის წინააღმდეგ ფილოსოფიურ სისტემებისა.

დემოკრიტის წარმოდგენით, მსოფლიო შესდგება პატარ-პატარა ნივთიერებათაგან, რომლის დანახვაც ადამიანს ვერ შეუძლიან. ამ ნივთიერებს დემოკრიტი ატომს ეძახის. ატომი ნიშნავს განუყოფელს. მთელი ქვეყნიერება, ყველაფერი, რასაც კი ადამიანი თავის გონების თვალით მისწვდება, ამ ატომებისაგან შესდგება. ატომები ძალიან ბევრია, უთვალავია და ზომით ერთი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ატომის **თანდაყოლილ** თვისებას **მოძრაობა** შეადგენს. ატომებს არავინ არ ამოძრავებს, არავინ არ აძლევს გზას და მიმართულებას; ისინი თვითონ მოძრაობენ. ატომის წარმოდგენა, თუ არა მოძრაობაში, ყოვლად შეუძლებელია. ატომს სხვა რამ არ ამოძრავებს, მაგრამ არც თავის ნებით მოძრაობს, რადგანაც მათ არც ნება აქვთ და არც გრძნობა. ფორმა ატომებისა სხვა და სხვანაირია: მაგალითად, ატომები, რომლებისაგანაც ცეცხლი შესდგება, რგვალია, დანარჩენი ატომები კი სხვა და სხვა ფორმისაა; მაგრამ რათ არის ცეცხლის ატომები რგვალი ან სხვები სხვანაირ ფორმისა,—ეს შემთხვევის საქმეა, დემოკრიტის ატომიზმი ამაზე არავითარ პასუხს არ იძლევა. შემთხვევითი ხასიათისაა თვით მოძრაობაც ატომებისა, რადგანაც მათი თვისებებიდან პირდაპირ მოძრაობის აუცილებლობა არ გამომდინარეობს.

რადგანაც ყველაფერი ატომების მოძრაობისაგან წარმოსდგება, „ცარიელი სივრცე" კი მოძრაობას არ განიცდის, რომ ატომების მოძრაობამ ნაყოფი გამოიღოს, ისინი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, დაეჯახნენ. მართლაც დემოკრიტის წარმოდგენით, ერთი ატომის მოქმედება მეორეზე მხოლოდ დაჯახებით შეიძლება. ერთი ან რამდენიმე ატომი მეორე ატომსა ხვდება და ამ შეხვედრისაგან წარმოსდგება ყოველ-გვარი საგანი ქვეყნიერებაზე. მოძრაობა იწვევს ატომების შეერთებას და გაცალკევებას, შეერთება და გაცალკევება კი იწვევს საგნების წარმოშობასა და მოსპობას. ატომები ყოველთვის თავის ერთ-გვარობის მიხედვით გროვდებიან ხოლმე: მოუხეშავი ატომები ცენტრებში გროვდებიან, უფრო ელასტიური და მოძრავნი კი პერიფერიებში, ნაპირებში: მაგრამ სხვა და სხვა საგნების წარმოსაშობად მარტო ატომების ფორმა არა კმარა; საჭიროა, რომ ამ ატომებს განსაზღვრული რიგი და მდებარეობა ჰქონდეთ. თვისებითი განსხვავება ატომებს შორის არ არსებობს; განსხვავება საგნებს შორის კი უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ესა თუ ის საგანი შესდგება სხვა და სხვა რიცხვის, ზომისა და ფორმის ატომებისაგან. პროცესსი ატომების მოძრაობისა მექანიკურია. მექანიკურად ხდება როგორც შეერთება, ისე გაცალკევება ატომებისა, მაშასადამე მექანიკურად ხდება ყოველ-გვარი მოვლენა, როგორც საზოგადოთ, ისე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. უმთავრესი დებულება დემოკრიტის ატომიზმისა მდგომარეობს იმაში, რომ „არაფრისაგან არაფერი არ წარმოსდგება; ყველა იმისაგან, რაც არსებობს, არაფერი არ იკარგება; ყოველ-გვარი ცვლილება არის მხოლოდ შეერთება და გაცალკევება ნაწილებისაო.*)

უმთავრესი დებულება ძველ მატერიალიზმისა უკვე შეიცავს თანამედროვე მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობის ორს უმთავრეს დებულებას ძალთა შენახვისა და მატერიის დაურღვევლობის შესახებ.

ასეთია საზოგადო მსოფლ-მხედველობა დემოკრიტისა. მაგრამ ამ ჟამად ჩვენთვის ისიც საინტერესო უნდა იყოს, თუ თანახმად თავის მსოფლ-მხედველობისა, როგორ ხსნის ის ფსიხოლოგიურ მოვლენებს.

უმთავრეს ელემენტად დემოკრიტს ცეცხლი მიაჩნია, რადგანაც იგი ყველაზე მმოძრავია. ცეცხლი შესდგება ყველაზე პატარა, სიპისა და რგვალ ატომებისაგან. მისი დანიშნულება კი შემდეგში მდგომარეობს: 1) იგი ორგანიზმებს ამოძრავებს და, 2) ფსიხიურ ცხოვრების წყაროს შეადგენს. როგორც საზოგადოთ ატომების მოძრაობისაგან ყოველ-გვარი ნივთიერი საგნები წარმოსდგება, ისევე ცეცხლის ატომების მოძრაობისაგან წარმოსდგება მთელი სულიერი ცხოვრება ადამიანისა. სულიერი არსება უსულო საგნებისაგან არსებითად არ განსხვავდება. განსხვავება მხოლოდ რაოდენობითია. სულიერი ცხოვრებაც შედეგია მატერიალურ ატომების მოძრაობისა, თუმცა ის მატერიალური ატომები, რომლებიც სულიერ მოვლენებს იწვევენ, ყველაზე პატარა და ყველაზე უკეთესი ატომები არიან. თუ რანაირად გადიქცევა ხოლმე მხოლოდ **რაოდენობით** განსხვავებული მოვლენანი **არსებითად** განსხვავებულ მოვლენებად,—ამის დასამტკიცებლად დემოკრიტს არავითარი საბუთები არ მოჰყავს, და ვერც შეუძლიან მოიყვანოს, რადგანაც დედუქტიურის საშუალებით ამის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია. ამაში მდგომარეობს უდიდესი ნაკლი ძველ მატერიალიზმისა, ესევე შეადგენს იმ კედელს, რომელზედაც კისერს იტეხავს თანამედროვე მატერიალისტური მეტაფიზიკა.

როგორია შემეცნების თეორია დემოკრიტისა? რადგანაც ყველაფერი ატო-

*) იხ. „ისარი" № 278.

*) იხ. Ф. А. Ланге: „Исторія матеріализма", გვ. 7.

ცხოველის ბაღების სანერგეები. ეხლა ამათ მიეცა სკრის ბაღები და ხეთაგუროვის ბაღი ნიქოზში. ღვინის მოსავალი ნაკლები იყო, ხარისხითაც დაბალი წინა წლებთან შედარებით.

სოფლებში აქა-იქ კიდევ მოიპოვებიან ძველი ნარიზმელები. პოლიცია იმათ დევნაში სოფლელებს უფრო ბეგრავს, იმათ-კი ვერაფერს აკლებს. **X.**

## ახალი ამბავი

—:—

✦ **„წყაროს" დაკეტვა.** 11 დეკემბერს პოლიციამ და ჯარის კაცებმა ალყა შემოარტყეს სიმონოვის ქუჩაზე და გაჩხრიკეს კ. თავართქილაძის სტამბა დაკეტეს სამხედრო წესების მოხსნამდე გაზეთი „წყარო". შრიფტი წაიღეს. ამის გამო გაზეთი 12 დეკემბერს აღარ გამოსულა, გაჩხრიკეს აგრეთვე გაზეთის რედაქტორის ბინა. არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ **მათხოვართა ქარხანა.** საბერძნეთის ბათუმელ კონსულის მეოხებით ტფ. პოლიციამ მე-7 ნაწილში, არუთინოვის სახლში, ერთი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. როგორც გამოირკვა, 11 დეკემბერს გაჩრეკილ და დაპატიმრებულ ბერძნებს ძმათა კონსტანტინე და გიორგი იანუსებს, კონსტ. ტანგონოვს, ნ. სურლოს, ფილიპე ტატანოვსა და ვასილ კოცელოს, მთელი ქარხანა გაუმართავთ თურმე, სადაც წვრთნიდნენ ბავშებს და სამათხოვროდ ამზადებდნენ. ამ ჯალათებს, სხვათა შორის, საბერძნეთიდან ძუძუთა ბავშვები გამოუტაცნიათ, ჩამოუყვანიათ აქ ტფილისში, დაუწყიათ მათით ვაჭრობა. ამ ნაძირალებს რომ უფრო ბევრი ფული მოეხვეჭათ, თავიანთ „ქარხანაში" ბავშვებს საშინელს სატანჯველს აყენებდნენ თურმე. რამდენსამე დღეს ამშევდნენ ბავშვებს, აცმევდნენ ძონძებს და ხშირად ამახინჯებდნენ კიდეც. ამ რიგად, ამ პირთ კარგა ხანს უმუშავნიათ. ბოლოს საბერძნეთის კონსულს ეს ამბავი გაუგია, აქაურ პოლიციის დახმარებით აღმოუჩენია ყველანი და დაუპატიმრებია კიდეც. გაჩხრეკის დროს ამ ბოროტ-მოქმედებს აღმოაჩნდათ 9 მანეთის ნაგლახაკევი წვრილი სპილენძის ფული. იქვე აღმოჩნდნენ საბერძნეთიდან მოყვანილი დამახინჯებული ბავშვები, 10—20 წლისანი: ვასილ ზამბაროსი, გრიგოლ, ათანასე, ხრისხოსი, ვასილ, გრიგოლ კაციაისი, ცნაკოსი, სტეფანე პალასიევი და დიმიტრი დიაზალო მოუსი. საცოდავი სანახავები იყვნენ ეს ბავშვები. ბავშვები დროებით პოლიციამ მეტეხის ციხეში მოათავსა. შემდეგ ისინი გაგზავნილ იქნებიან საბერძნეთში პატრონებისათვის ჩასაბარებლად.

✦ **სამღვდელოების კრება.** გუშინ, 12 დეკემბრისთვის, სასინოდო კანტორის სადგომში, პროკურორის ბინაზე, დანიშნული იყო კრება ქართლ-კახეთისა და ბაქოს ეპარქიების სამღვდელოებისა. ექსარხოსის განკარგულებით, კრებაზე სამ ეპარქიიდან დაიბარეს 42 დეპუტატი. აქედან 28 ქართველია, 14 რუსი და ბერძნები. არ გამოცხადდა 12 დეპუტატი. დეპუტატმა მ. ან. თოთიბაძის თავმჯდომარეობით თათბირი გამართეს იმის განსახილველად, გახსნან კრება და შეუდგნენ საქმეების განხილვას, თუ მიუცადონ არ გამოცხადებულ დეპუტატებს. ბოქ. ელი დეკანოზი ცნობილი იუნიცკი წინააღმდეგი იყო კრების გადადებისა. კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა კრება ღღეისათვის გადაედო არ მოსულ დეპუტატების მოსაცდელად. როგორც აღვნიშნეთ, დეპუტატებმა არც კი იციან რა საქმეების განსახილველად შეიკრიბნენ. ჯერ დეპუტატებისათვის განსახილველ საქმეთა უბრალო სიაც კი არ დაურიგებიათ. საზოგადოდ კრება მეტად უცნაურ პირობებში იხსნება. საქმეებთან გაუცნობლობის გარდა, დეპუტატები კარ-ჩაკეტილში უნდა ისხდნენ და იმისი ნებაც კი არა აქვთ, რომ საქმეში ჩახედული მღვდლები სათათბირო ხმით მაინც მიიწვიონ კრებაზე: კრების სადგომის წინ კარებში, ექსარხოსის განკარგულებით, იდგნენ კანტორის მოხელენი და სიით ამოწმებდნენ დეპუტატთა ვინაობას. ზოგს უნდა აღძრას საკითხი კრების კარ-ჩაკეტილობის გაუქმებისა, პრესის წარმომადგენლებისათვის მაინც.

✦ **„რექტიფიკაციის" მუშათა საზოგადო კრება.** 7 დეკემბერს „რექტიფიკაციის" მუშებმა მოახდინეს კრება და იქონიეს მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მომავალ 1908 წელს. ამ საკითხის შესახებ არჩეული იყო კომისია, რომელმაც კრებას წარუდგინა თავის შემდეგი მოსაზრება: უნდა წარედგინოს პატრონებს მოთხოვნილება, რომ 1908 წლიდან იმ მუშას, რომლის ჯამაგირიც 30 მ. აღემატება, არა მოემატოს რა, რომელსაც 30 მ. ნაკლები ჯამაგირი აქვს, მას უნდა შეუსრულდეს 30 მანეთადე, 2. ებრძოლონ აზნაგებში ლოთობის გავრცელებას, აღეკრძალოთ დეპუტატებს მუშაობის დროს დაკლება და მოითხოვოთ მათ ყველასადმი ადამიანური მოპყრობა. კრებამ მოისმინა კომისიის მოხსენება, დაამტკიცა იგი და გადასწყვიტა, დაიბეჭდოს გადაწყვეტილება და გამოიკრას ქარხანაში, რათა ყველანი ასრულებდნენ ამ გადაწყვეტილებას.

✦ **სასამართლო.** 10 დეკემბერს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე „ცნობის ფურცლის" რედაქტორის ალ. ჯაბადარისა, რომელმაც თავის გაზეთში დაბეჭდა დეპეშა რკინის გზის კავშირისა შესახებ დეკემბრის გაფიცვისა 1905 წელს. ეს საქმე წინად გაარჩია ოლქის სასამართლომ და ჯაბადარს 2 თვით დაპატიმრება მიუსაჯა. ეხლა პალატამ ჯაბადარს 100 მანეთით დაჯარიმება მიუსაჯა.

✦ **ვადის გადადება.** ფინანსთა მინისტრმა ნება მისცა კახეთის რკინის გზის საზოგადოების დამაარსებელთ, რომ მათ სააქციონერო თანხის 50% შეიტანონ ხაზინაში 1908 წ. 3 აპრილამდე.

✦ **გამართლება.** 10 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მელქო, ნაზო და ზალო მარქაროვებისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ ყუმბარების შენახვა. სასამართლომ სამივენი გაამართლა.

✦ **ტრაქტირის გაჩხრეკა და ხალხის დაპატიმრება.** 11 დეკემბერს საღამოთი „ტრუდის" ტრაქტირს პოლიციამ ალყა შემოარტყა და დააპატიმრა: ნ. ჯიორბაძე, პ. ახვლედიანი, პავლე ქორქიაშვილი, ივ. ნიკოლაიშვილი, ნ. კინწალაძე, გრ. მხეცურიანი, პ. კერესელიძე, ლ. ფრუიძე, სპირიდონ აბულაძე, გ. კუპრიაშვილი, რაჟდენ კვრივიძე, გაბრიელ მახარობლიძე, გრ. დაგანელიძე და ალ. ადეიშვილი. დაპატიმრებულთ, პოლიციის ცნობებით, ნება დაურთველი კრება გაუმართავთ სატრაქტირო დაწესებულებათა მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა.** 11 დეკემბერს ფულის ანგარიშის დროს ჩხუბი მოუვიდა აგასი აივაზიანცს თავის ნათესავ მიხეილ მაშიაშვილთან. აივაზოვმა რევოლვერი დაახალა მაშიაშვილს და სასიკვდილოდ დასჭრა. აივაზოვი დააპატიმრეს.

✦ **საქმე სასოფლო-სამეურნეო ბანკზე თავდასხმის შესახებ.** ტფ. ოლქის სასამართლომ ამ დღეებში მიიღო საქმე ჯავრიშვილისა და ოზოლაძისა, რომელთაც ბრალდებათ სხვებთან ერთად ამ ერთის წლის წინად ტფ. სასოფლო სამეურნეო ბანკზე თავდასხმა, განძილის მოკვლა და ფულის გატაცება. ამ საქმეს ოლქის სასამართლო ახლო მომავალში განიხილავს.

✦ **დუქნების გაჩხრეკა და დაპატიმრება.** 11 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, პოლიციამ სხვა და სხვა უბნებში დუქნები გაჩხრიკა და დააპატიმრა დ. კახუროვი, შაქრო ელიშვილი, და ივანე კალანდაძე დაპატიმრებულნი, პოლიციის ცნობებით, 14 ოქტომბერს გაფიცულან და აქამდე მუშაობა არ დაუწყიათ. იმავე პოლიციის ცნობებით, კალანდაძემ 9 დეკემბერს პუშკინის ქუჩაზე ისაია კაჩეგაროვს 30 ღვინით სავსე ბოთლი დაუმტვრია და მიიმალა.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის" მე-23 ნომერი (მცირე-წლოვანთათვის) შინარსი: „ზამთარი", ლექსი ი. გვდოშვილისა, „თედოს ბატები", ცქვიტისა; „თინას საჩუქარი", თარგ. ელ. ანტონოვსკისა; „შვიდ-ბეწვა ქოსა". თარგმ. თათრულიდან თ ბაქრაძისა; „მადლის მეხსიერება", თარ. ელ. ჭიჭინაძისა; გასართობი.

✦ 11 დეკემბერს კაბგეროვის ქუჩაზე არუთინ-ლიმი-ოღლის პურნეში, როგორც მეპურეს პოლიციაში განუცხადებია, სამი შეიარაღებული კაცი შევარდნია, დახლიდან 40 მან. ამოუცლია და მიმალულა.

✦ ჩხუბის დროს 11 დეკემბერს საღამოს 7 საათზედ, სამჯელ რევოლვერი დაახალა ასატურ არუთინოვმა მოსესოვს, მაგრამ ააცდინა. არუთინოვი დააპატიმრეს, მაგრამ მას რევოლვერი არ აღმოაჩნდა.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა, მაღალმა თუ დაბალმა, წოდებისა და მიმართულების განურჩევლად, ერთხმად დაადგინეს, რომ მომავალ წლის პირველ იანვრიდან უთუოდ თავიანთ ჯამაგირიდან სასიქადულო მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად 1/2%-დან 1%-მდის; ის პირნი, რომელნიც თვიურად 30 მანეთზე მეტს არ იღებენ, იხდიან 1/2%-ს, ისინი კი, ვინც 30 მანეთზე მეტს იღებენ—1%. ამგვარად უთუოდ წლიურად ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებისაგან მიემატება ილიას ფონდს 300—400 მანეთი.

✦ როგორც საავთიაქო კომისიის ანგარიშიდანა სჩანს, მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში (1 ნოემბრამდის) აფთიაქში შემოსულა სულ 37,000 ნომერი რეცეპტი (წარსულ წელს კი 27,000 ნომერი ყოფილა). აფთიაქის მთელი შემოსავალი ყოფილა 32,000 მანეთამდის. აფთიაქის შემოსავლის ამგვარს გადიდებაზედ უთუოდ გავლენა იქონია საბჭოს სიმპატიურმა დადგენილებამ შესახებ იმისა, რომ აფთიაქის წმინდა შემოსავალი მოხმარდეს ქალაქის მომავალ საავადმყოფოს, რომელიც ქალაქის ღარიბ მცხოვრებლებს დიდ სამსახურს გაუწევს. ვინც აფთიაქის შემოსავლის ასეთი დანიშნულება იცის, ის, თქმა არ უნდა, არ დაიზარებს, რომ უთუოდ თვის კერძო აფთიაქის ნაცვლად ქალაქის აფთიაქს მიმართოს.

✦ ქალაქის საბჭომ გუბერნატორის წინადადებით 10 დეკემბერს, კიდევ განიხილა მეფურნეების საჩივარი პურის ნიხრის მოუმატებლობის შესახებ და კიდევ უყურადღებოდ დასტოვა მათი საჩივარი, რადგან არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა მათ გაუმაძღარ სურვილის დასაკმაყოფილებლად: ქუთაისში ამჟამად ისეთი დიდი ნიხრის პურზე, როგორც კავკასიის არც ერთს ახლო-მახლო ქალაქში არაა: მესამე ხარისხის პური, მაგალითად, ქუთაისში 4 1/2 კაპეიკად იყიდება გირვანქა, სხვა ქალაქებში კი 1/2—1 კაპეიკით უფრო იაფად. რაც შეეხება მეფურნეების თხოვნას, რომ ქალაქის გამგეობამ საცდელად თვითონ გამოაცხობინოს პური, საბჭომ შეუძლებლად სცნო, რადგან გამგეობა იძულებული იქნება პურის გამომცხობლებად იგივე მეფურნეები და მათი მუშები დაიქირაოს, რომელნიც ისე გამოაცხობენ პურს, რომ უთუოდ თვის ზარალს აჩვენებენ ქალაქის გამგეობას.

ამავე სხდომაზე ქალაქის გამგეობამ შესაძლოდ სცნო არსებულ ხორცის ნიხრისათვის ერთი კაპეიკი მოუმატებინა, ე. ი. შემდეგი ნიხრი დადგინა: მოზრდილ საქონლის 1 ხარისხის ხორცი გირვანქა—12 კ., მეორე ხარისხის—11 კაპ., ადგილობრივ საქონლის—1 ხარისხისა—10 კაპ., მეორესი —9 კაპ., ხბოს—20 კაპ., ძუძუ-მწოვარა ხბოს ხორცი—13 კ., ცხვრისა და მოზრდილ ხბოს ხორცი—12 კაპ., ღორის ხორცი—11 კაპ., კამეჩისა—7 კაპ.

## პრესსა

—:—

მთავრობის ოფიციოზურ გაზეთ „როსსია"-ში დაიბეჭდა პირველი წერილი ვინმე პაპკოვისა შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. წერილის პირველ სტრიქონებიდანვე ცხადია საერთო აზრი ავტორისა: მას მორიგება სურს სინოდისა და საქართველოს ეკლესიისა. ავტორი სწერს, რომ საცაა მოწვეულ იქმნება სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება, რომელსაც უმაღლესის ბრძანებით გადაეცა საკითხი შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, და განაგრძობს:

საჭიროა ეხლავე მოგვარდეს და მოწესრიგდეს ყველა საეკლესიო სადავო საკითხი, რათა ყველანი მშვიდობით მივიდნენ საეკლესიო კრებაზე და გაარჩიონ მხოლოდ ისეთი საგულისხმო საქმეები, რომელნიც საჭიროებენ კრების მიერ დამტკიცებასა და დაკანონებას. ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეხლავე აღდგენილ იქმნეს, რამდენადაც კი შესაძლებელია, წესიერი ურთიერთობა რუსეთის ეკლესიასა და აღმოსავლეთის ყველა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის და დაკმაყოფილებულ იქმნეს ქართულ ეკლესიის ყველა «კანონიერი და გონივრული» მოთხოვნილება.

ცხადია ავტორის დედა აზრი. მას სურს მორიგება და დაკმაყოფილება საქართველოს ეკლესიის „კანონიერ და გონივრულ" მოთხოვნილებისა. მას სურს აგრეთვე დაკანონება ამ მორიგებისა, ე. ი. ახალ ხელშეკრულების დადება, მაგრამ ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ეს „კანონიერი" მოთხოვნილება და კანონიერია თუ არა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა. მას მოჰყავს შარშანდელი ისტორია საქ. ეკლ. შესახებ მასალების შეკრებისა და მოლაპარაკებისა და პირდაპირ აცხადებს, რომ ამ წერილში ვერ შევეხები ქართველ სამღვდელოების საყვედურებსაო, რადგან

გარჩევა ასეთ საყვედურებისა, უთანხმოებისა და კინკლაობისა უფრო გაამწვავებს ურთი-ერთ შორის არსებულ დამოკიდებულებას. არ შეიძლება მომავალ კრების გადაქცევა სასამართლოდ, არ შეიძლება ჩამოეცალოს მას კეთილშობილური მოვალეობა «მომრიგებელ» და „დამამშვიდებელისა".

ამ რიგად, მომავალმა საეკლესიო კრებამ უნდა დაამშვიდოს და მოარიგოს ორი მხარე—ქართული და რუსული ეკლესიები. ავტორი არც იმაზე ამბობს უარს, რომ საქართველოს ეგზარხოსებმა აუარებელი ზიანი მიაყენეს საქართველოს, მაგრამ ეს უფრო საზოგადო საეკლესიო რეჟიმისა და სისტემის ბრალია, ვიდრე ეგზარხოსებისაო. თვითონ ავტოკეფალიის შესახებ პირველ წერილში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ამ წერილიდანაც ცხადია, რომ მთავრობის ოფიციოზი მას ცერად უყურებს და გვირჩევს მორიგებას. მოვუცადოთ მეორე წერილს და ვნახოთ, რა პირობებით სურს მთავრობას მორიგება.

## რუსეთი

—:—

✦ **ვიტეს დევნა.** ჭეშმარიტი რუსები დღემდის ამტკიცებენ, რომ რუსეთის რევოლუციას გრაფი ვიტე მეთაურობსო. ეხლა მათ გაუგიათ, რომ ვიტე ისევ სამსახურში დაბრუნებას აპირებს და ხელმეორედ დაიწყეს მის წინააღმდეგ აგიტაცია. ბელადები ჭეშმარიტ რუსთა კავშირისა პირდაპირ აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ მაშინ დამშვიდდებიან, როცა ვიტეს სახელმწიფო საბჭოს წევრობასაც წაართმევენ და რუსეთიდან განდევნიან. მათ გაზეთში და ფრანგულ გაზეთებში—„La Revue" და Petit Parisien"-ში დაიბეჭდა რამდენიმე საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ვითომ ვიტეს ეკუთვნის და საიდანაც ვითომ ცხადათ სჩანს გრაფის რევოლუციონობა.

### წერილი რედაქციის მიმართ

—:—

ჩემზე და თომა ქოქრაშვილზე თავდასხმამ და სასიკვდილოდ ჩვენმა დაჭრამ, რომელმაც თომა ქოქრაშვილი უკვე იმსხვერპლა—გარდაიცვალა 4 დეკემბერს—როგორც მესმის, საზოგადოებაში სხვა და სხვაგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვითომ ჩვენზე სასიკვდილოდ თავდასხმა

---

მების დაჯახებისაგან წარმოსდგება, შემეცნებაც მხოლოდ ატომების ამ დაჯახების შედეგი შეიძლება იყოს: საგნებს იმისთანა შეხვედრის დროს შორდება ნაწილები, რომლებიც ჩვენს გრძნობათა ორგანოებში შედიან, მასში არსებულ ცეცხლის ატომებს ამოძრავებენ და ამ რიგად იწვევენ ამა თუ იმ გრძნობას. ატომს გარედან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან გამოიწვიოს გრძნობა, თუ გარეთ მყოფ ატომთა მოძრაობას წინ დაუხვდა ამა თუ იმ ორგანოს სულის ატომთა სათანადო მოძრაობა. მაგრამ ამ შემთხვევაში გრძნობა მარტო გარეგანის იმპულსისაგან კი არ არის დამოკიდებული, არამედ შინაგან, სულის ატომთა დამოუკიდებელ მოძრაობისაგან. დემოკრიტის აზრით, ნამდვილი შეგნება მხოლოდ აზროვნების წყალობით შეიძლება. მაგრამ აზროვნებისათვისაც დემოკრიტს საჭიროთ მიაჩნია, რომ საგნების გამოხატულება ჩვენს სხეულში გარედან შევიდეს. მაგრამ როგორ ხდება ეს პროცესი, ამის შესახებ დემოკრიტი სრულიად არაფერს არ ამბობს.

მოკლედ რომ ვსთქვათ, დემოკრიტის მატერიალისტური მსოფლ-მხედველობა ამნაირია: ქვეყანაზე მხოლოდ ატომები არსებობენ; ამ ატომების შეერთებასა და განცალკევებისაგან წარმოსდგება ყველა საგნები. ადამიანის სულიერი ცხოვრებაც ამ საზოგადო კანონს ემორჩილება. აქაც ისე, როგორც საზოგადოთ ცხოვრებაში, სულიერი ცხოვრება შედეგია მატერიალურ ატომების მოძრაობისა, თუმცა ის ატომები, რომლებიც სულიერ მოვლენებს იწვევენ, უფრო პატარა, უფრო ელასტიური და გაუმჯობესებულია. ადამიანი აზროვნებს და გრძნობს იმიტომ, რომ გარედან საგნებს შორდება ნაწილები, რომლებიც ადამიანის სხეულში შედიან, იქ არსებულ განსაკუთრებულ სულიერ ატომებს ამოძრავებენ, და ამ რიგად იბადება გრძნობა და აზროვნება.

აი, ასეთია მატერიალისტური მსოფლმხედველობა დემოკრიტისა, რომელმაც მატერიალისტური აზრები სისტემაში მოიყვანა და თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანა. და თუ, მიუხედავად ამისა, თეორია სავსებით დამაკმაყოფილებელი ვერ გამოვიდა, ეს დემოკრიტის ბრალი კი არ არის, არამედ იმისი, რომ ყველა მოვლენების მატერიალისტური ახსნა ადამიანის გონებასა და მეცნიერულ კვლევა-ძიების მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელი არ არის.

შემდეგში მატერიალიზმმა, რასაკვირველია, ფერი იცვალა, მაგრამ ძირითადი საფუძვლები, როგორც ზევითაც ვთქვით, სრულიად შეუცვლელი დარჩა.

მესამე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ეპიკურმა ისევ განაახლა ცოტახნობით მივიწყებული მატერიალიზმი. რომში მატერიალიზმს გამოესარჩლა ლუკრეცი, რომელმაც თავისი მსოფლმხედველობა დიდაქტიურ პოემაში გადმოგვცა. ლუკრეცის ატომები სხვა და სხვანაირ ფორმებისაა. ეს ატომები განსაზღვრულ გავლენას ახდენენ ჩვენს გრძნობებზე. ატომები აუარებელია, მაგრამ ატომთა სხვა და სხვაობის რაოდენობა კი განსაზღვრულია. ლუკრეცის შემდეგ მატერიალისტური მსოფლ-მხედველობა კარგა ხანს წინ არ წაწეულა. ახალ დროში კი მატერიალიზმმა ისევ წამოჰყო თავი. აღორძინება მატერიალიზმისა ახალ დროში საფრანგეთის ფილოსოფოსის დეკარტისაგან (1596—1650) იწყება, თუმცა თვითონ დეკარტი მატერიალისტად ვერ ჩაითვლება. დეკარტი დუალისტი იყო, აღიარებდა ორს სუბსტანციას—მატერიალურსა და სულიერს. ახალ დროში მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობას გამოექომაგნენ მოლეშოტტი, ფოხტი და ლიუდვიგ ბიუხნერი. განსაკუთრებით დიდი გავლენა და პოპულიარობა მოიხვეჭა ლიუდვიგ ბიუხნერმა, რომელსაც აზრად გაუხდია რაც შეიძლება მდაბიოდ და ადვილ გასაგები ენით გადასცეს მკითხველებს ბუნების-მეტყველების დებულებანი. ბიუხნერი ზევიდან დასცქეროდა ფილოსოფიას და რიხიანად აცხადებს, ისეთი ნაწერები, რომლის გაგებაც ხალხს ვერ შეუძლიან, სულაც არ უნდა იბეჭდებოდესო; ყველაფერი ნათლად უნდა იწერებოდესო, ამბობს ბიუხნერი. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. ლანგე, ყველაფერს ნათლად გასაგებს სინათლე და გარკვეულობა არ შეაქვს მეცნიერებაში. მეცნიერებაში სინათლის შესატანად ღრმა შესწავლაა საჭირო და არა ჭრელი გადმოცემა საძეცნიერო დებულებებისა. ლანგეს აუარებელი მაგალითები მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ბიუხნერი სამეცნიერო ცნებებს ისე საშინლად ურევს ერთმანეთში, როგორც არც ერთს სერიოზულ მკვლევარს არ ეკადრება.*)

საზოგადოთ, მატერიალისტურ მსოფლმხედველობაში ახალი ბევრი არაფერი შეუტანიათ ახალ დროის მატერიალისტებს. უმთავრესი საფუძვლები ძველ მატერიალიზმისა ხელ-შეუხებელი დარჩნენ. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლიან ახალ დროის მატერიალისტების გარჩევას თავი დავანებოთ, მით უფრო, რომ ეს ჩვენ მიზანს არ შეადგენს, და შევუდგეთ იმის გამორკვევას, მართლა მეცნიერული მსოფლ-მხედველობაა მატერიალიზმი, თუ ისიც ისეთივე მეტაფიზიკური მიმდინარეობაა, რანაირიც, თუნდა სპირიტუალიზმი.

**არ. ჯ—შვილი.**

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. А. Ланге: „Исторія матеріализма", ტ. II, გვ. 67.

ჩოლოყაშვილთაგან მამულის ყიდვის ნიადაგზე ყოფილიყოს. ეს შემცდარი ფიქრია. გამოძიება მალე გამოარკვევს, თუ ამ საქმეს სარჩულად რა ედო, ხოლო გამოძიებამდე სახალხოდ ვაცხადებ, რომ ჩვენი მოკვლა განიზრახეს კერძო ინტერებით აღჭურვილმა პირებმა და ამას, ვიმეორებ, არავითარი კავშირი არა აქვს მამულის ყიდვის საქმესთან; ეს არ შეიძლება ვიფიქროთ მით უმეტეს, რომ ხსენებული მამული ზედ სოფელზეა წაკრული და ხაშმელებისათვის აუცილებლად საჭიროა. მამულს ყიდულობს ხაშმის საზოგადოება კოოპერატიულად განაწილებლად და მორიგებაც მოხდა ორივე მხრის შეთანხმებით.

ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ცნობა.

ხაშმის საზოგადოების მამასახლისი

**იოსებ იმედაშვილი.**

---

(მიმართვა საზოგადოებისადმი)

ცხინვალის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მზრუნველების უმორჩილეს და სთხოვენ ქართველ საზოგადოებას, დაგვეხმაროს წიგნების შემოწირვით. ქართლში ცხინვალი ამ მხრივ პირველ მაგალითს წარმოადგენს; იმედი გვაქვს ყურადღებას მოგვაქცევენ. უფრო პატარა გასაგები ბროშიურებია საჭირო.

წიგნები უნდა გადაეცეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში შიო ქურუაშვილს.

პატივისცემით **დათიკო ქრონიშვილი, მიხეილ ყერ-ხელეფანოვი.**

---

თქვენის გაზეთის მე-247 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ბ-ნ გადასახლებულისა. სხვათა შორის, იგი სწერდა: ბ-ნ აქუას უნდოდა მარიამობისთვის გასულს გამოეცხადებინა წარმოდგენის და „ღია წერილების" ანგარიში და გვარი მათი, ვინც წაიღო და დღესაც არ დაუბრუნა ფული. დღეს გიორგობისთვეც გადის და დღესაც არ აცხადებს». მე მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, რომ ანგარიში მივცე იმათ, ვისთანაც მოვალედ ვთვლი. თქვენ კი გთხოვთ, მიიღოთ შრომა და შემატყობინოთ, რა უყავით იმ 20 მანეთს, რომელიც მიიღეთ იმ ამხანაგთაგან, ვისაც ებარა მოგროვილი ფული, ან კიდევ იმ ფულს და ღია წერილებს, რომელიც გამოგირთმევიათ კნიაჟნა ნინოსთვის. მე ნებას არ მივცემ ჩემ თავს, დაგწამოთ, ვითომ ის ფული მოიხმარეთ თქვენის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. იმედი მაქვს, ფულს გადასცემდით იმათ, ვისთვისაც იყო იგი მოგროვილი. მაგრამ ეგრეც რომ იყოს, თქვენ თითონ დამეთანხმებით და შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში, რა ძნელი საქმეა: ანგარიში მე უნდა მივცე, ფულები და ღია წერილებიც კი თქვენ მიიღეთ და დღესაც არ ვიცი, სად და ვის მოხმარდა იგი. იმედი მაქვს, ანგარიშის გამოსაქვეყნებლად პირველ მაგალითს თქვენ მაჩვენებთ და ჩქარა მაცნობებთ ამ ფულისა და ღია წერილების შედეგს. **აქუა.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ბეგლიშვილი.**

---

# განცხადებანი


## ხიმშიაშვილის და დიასამიძის

მამულში საბურთალოსთან, ვერაზე იყიდება მიწები, დაყოფილი ნაჭრებად 24, 40 და 70 კაპ. საჟენი წლის გადახდის ვადით.

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურის სახლი № 153 **მაჭავარიანი, გელოვანი**

(10—438—8)

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აველიშიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შხეროზინინა:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—177)

---

აქციონერთა საზოგადოება

## „გრამოფონი"



ტფილისის განყოფილება

გოლოვინის პროსპექტი, № 9

გრამოფონი პირველია, როგორც

მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი,

რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალ

### შობის დღესასწაულისათვის

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპქტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდ-ძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანასკნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანისმით** სულ ახალ მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. **ფ ა ს ე ბ ი** გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისათვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთ აგანმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ **მოლაპარაკე მაშინის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მაშინები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასთვის თვალსაჩინოა. სიტყვა „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი" შემკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ ნაწარმოებ საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.




გრამოფონი ოჯახში **არა** მარტო გამრთობია, არამედ **აღმზრდელიც**. უნდა ეძებდეთ **ღირსებას** და არა **სიიაფეს**.

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონებს გამოსაცდელად. კატალოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხურ, ქართულ, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტებში: **ადელინა პატის, მელბას, ბოტიჩენტის, ტეტრაცინის, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, გიალდევის, კარუზოს, რუფოს, ბატისტინის, შალიაპინის, სობინოვის და სხვათა.**

(15—768—4)

---

## ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით: არის „სპერმატინი"**. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენცია**, იგი **ძალის მომმატებელია**. „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აზოგებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. **«სპერმატინი"** შედეგია **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღალულობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს ქარებს ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელ წელიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებია და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ-გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი" ბატონ ახობაძესთან, **წარმომადგენელს** მოსკოვის ლაბარატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი" მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს**, ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **ვ. მნაცაკანოვისა**, ტფილისი, 22 აგვისტო.

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. მოწ. ხელმწ. ბ. გ. ახობაძე, წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში", რომ თქვენ კანტორაში იყიდება „სპერმატინი" ლაბორატორიის ივანოვისა, რომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩვენი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წელიწადი ავად ვარ ნერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სისუსტითა და მომდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რევმატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც მივიღე ოთხი ფლაკონი თქვენი სპერმატინი", სულ განვთავისუფლდი მოხსენებულს სატკივრებისაგან და ამ თქვენ წამლის მიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გამოწერილი ექიმებისაგან, მაგრამ არა მიშველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწირავთ, ბ. ი. ახობაძევ, და ვიქნები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემის შველისათვის.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და მისი მაზრა სოფ. ვანი, **ივანე ბალანჩივაძე.**

მოწ. ხ. **ბ. ი. ახობაძევ.** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გადმოცემულ „სპერმატინისათვის", ლაბორატორიის ი. ნ. ივანოვისა. 2 წელზედ მეტი ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარაცხელიასაგან ერთი ფლაკონი, ოკედ გავხდი. მერე ვიხმარე მეორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივის მცემელი **ვიჩი ბოლქვაძე** სოფელ ოტომაიას მცხოვრები, სოხუმის ოლქის და გალის წილისა. 12 ოქტომბერი, 1907 წ.

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპირმანი" ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მან ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ან ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**ბ-ნი კალენიჩენკოს,** ყოფილი წარმომადგენელი „სპერმატინის" გაყიდვაში, ეხლა ამ თანამდებობაში არ იმყოფება. ჩემს ლაბორატორიასთან „სპერმატინის" მომზადების საქმეში მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს. მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის" ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: თფილისი, ვერა მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის" კანტორის განყოფილება: ბაქოში, ი. გ. ახობაძეს სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება**

(0— 6.—15)

---

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



## კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ

„რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას",

**რომელიც დაარსდა 1860 წელს.**

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ზეპის ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ოდესას, ეკატერინბურგს,

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი,**

დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, კიევს და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი**

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა.

(100—97)